სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის მარიანა ფომაევას შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**23**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**24**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**18**	**20**
პროფესიული თვისებები	**13**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**8**	**10**
პროფესიული აქტივობა	**3**	**5**
ქულათა ჯამი	**89**	**100**

შემფასებელი: **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

თარიღი : 09.12.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის
კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე
კანდიდატის - **მარიანა ფომაევას** შეფასების დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით დაწყებული რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად კანდიდატის - მარიანა ფომაევას შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-11 პუნქტით და 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

1. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად, თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი მარიანა ფომაევა კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის ითითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, როგორიც არის - პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია.

აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მარიანა ფომაევას შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ იქნა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოდან - მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ; სს „კრედიტინფო საქართველოდან" - სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან - ცნობა შემოსავლების შესახებ; საჯარო სამსახურის ბიუროდან - ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია; კანდიდატის სამუშაო ადგილიდან - ინფორმაცია დისციპ-

ლინური სამართალწარმოების შესახებ. მარიანა ფომაევას დახასიათების მიზნით მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისაგან გამოთხოვილი და მიღებულ იქნა შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვა დოკუმენტები. ამასთან, მარიანა ფომაევას შეფასებისას გათვალისწინებულია მის მიერ შევსებულ განაცხადში ასახული ინფორმაცია და საჯარო მოსმენის პროცესში უშუალოდ კანდიდატის მიერ გამოვლენილი თვისებები.

<u>**პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის**</u> მახასიათებლის მიხედვით შეფასებისას, ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გავითვალისწინე, რომ რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ. კერძოდ, გამოარჩევენ მის კეთილსინდისიერებას, პატიოსნებას, შრომისმოყვარეობას, მოვალეობების და პასუხისმგებლობის მაღალ შეგნებას და სხვა პოზიტიურ პიროვნულ და პროფესიულ თვისებებს. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

მარიანა ფომაევას გააჩნია პასუხისმგებლობისა და მოვალეობების მაღალი შეგნება და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით დაკისრებული ჯარიმები მარიანა ფომაევას გადახდილი აქვს დროულად.

<u>**დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელს**</u> რაც შეეხება, გამოკითხული რეკომენდატორები კანდიდატს აფასებენ, როგორც დამოუკიდებელ, სამართლიან და მიუკერძოებელ პიროვნებას. აღნიშნავენ, რომ იგი არის პიროვნულად მტკიცე, შეუძლია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.

ამასთან, როგორც შემოწმებით დასტურდება, მარიანა ფომაევა არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან/და შემომწირველი. საჯარო მოსმენაზე მისი მხრიდან ასევე არ გამოვლინდა პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის ნიშნები.

<u>**პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან**</u> დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მარიანა ფომაევა გაწონასწორებულია და მართავს საკუთარ ემოციებს. კანდიდატის მოსმენის შედეგად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ იგი არის მოტივირებული, კორექტული და თავაზიანი. ამასთან, კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა ან/და სისხლისსამართლებრივი წარმოება არ დაწყებულა. საქართველოს გენერალური პროკურატურიდან გამოთხოვილი ინფორმაციით დასტურდება, რომ მარიანა ფომაევა დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა და, აგრეთვე, ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში არ იძებნება საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მისი მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია

<u>**პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლის**</u> მიხედვით კანდიდატის პიროვნულ თვისებებსა და მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატის - მარიანა ფომაევას შესახებ ინტერნეტ სივრცეში არაა ხელმისაწვდომი არანაირი ინფორმაცია. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის

ხასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ მარიანა ფომაევა მონაწილეობდა მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ ღონისძიებებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და ითითოეული მახასიათებლის გაანალიზების შედეგად, ვინაიდან არ გამოიკვეთა გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებლით შემოწმებისას კანდიდატი შევაფასე სრულად დადებითად და მიმაჩნია, რომ **მარიანა ფომაევა**, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, **სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

2. რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით:

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი მარიანა ფომაევა კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი წესით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე მარიანა ფომაევას შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის შემდეგი მახასიათებლები: სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ და იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, ასევე - საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას.

<u>**სამართლებრივი ნორმების ცოდნის**</u> კრიტერიუმით კანდიდატის შეფასებისას გავითვალისწინე შემდეგი გარემოებები: მარიანა ფომაევა არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი (მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულები - 81/16. რიგითი ნომერი საკვალიფიკაციო სიაში - 12).

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით,

- მარიანა ფომაევამ წარმატებით გაიარა თეორიული სწავლების, სტაჟირების და სემინარული მუშაობის ეტაპები, წარმატებით ჩააბარა სკოლის დამამთავრებელი გამოცდა. სტაჟირებაში მიიღო უმაღლესი ქულა და სკოლის დამამთავრებელ გამოცდაში - 90 ქულა. სამოქალაქო სამართალში აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა, რომელსაც შესაბამისად იყენებს პრაქტიკაში, აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. რეკომენდირებულია მან იმუშაოს დროის მართვის და კონცენტრაციის უნარების უფრო მეტად განვითარებაზე.

არის ორგანიზებული, თანმიმდევრული, კომუნიკაბელური, ზეჯიათი, შრომისმოყვარე და გაწონასწორებული პიროვნება. გააჩნია პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
- მარიანა ფომაევას აქვს ადმინისტრაციული სამართლის თეორიული ცოდნა და შესაბამისად იყენებს პრაქტიკაში. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი და დასაბუთებული მსჯელობა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები აკმაყოფილებს საპროცესო დოკუმენტებისთვის დადგენილ ფორმალურ და სტილისტურ სტანდარტს. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილების პროექტები წერილობით თანმიმდევრულად და ლაკონიურად არის ჩამოყალიბებული. იგი არის გაწონასწორებული, შრომისმოყვარე, პასუხისმგებლიანი უაღრესად დადებითი და წესიერი ადამიანი. პროექტებზე მუშაობისას იგრძნობოდა მსმენელის მხრიდან ადმინისტრაციული სამართლის ცოდნა. საკუთარ აზრს გამოხატავდა სწორად, საკმაოდ კარგად ახდენდა მის დასაბუთებას და სიღრმისეულ გამყარებას. არის მიზანდასახული, შრომისმოყვარე ადამიანი, რომელსაც გააზრებული აქვს საკუთარი არჩევანის მნიშვნელობა და შესწევს უნარი წარმატებით გაართვას თავი მოსამართლის საქმიანობას;
- სისხლის სამართალში მარიანა ფომაევას აქვს კარგი თეორიული ცოდნა და სწორი ანალიზის უნარი. თავის პოზიციას გადმოსცემს ლოგიკურად და თავდაჯერებულად. არის კომუნიკაბელური და თავაზიანი. შეუძლია სწორად განსაზღვროს საკითხის პრიორიტეტულობა. სამართლებრივი შეფასებისას ყურადღებას ამახვილებს ევროსასამართლოს და ეროვნული სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკაზე და იყენებს პრაქტიკაში. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები აზრობრივად გამართულია. მისი უნარები და თეორიული ცოდნა სრულად შეესაბამება სამომავლოდ სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებას. რეკომენდირებულია მან იმუშაოს დროის მართვის და კონცენტრაციის უნარების უფრო მეტად განვითარებაზე;
- შესაფასებელ პირს, რომელიც სამოქალაქო სამართლის სპეციალისტია, სისხლის სამართალში აქვს სათანადო თეორიული ცოდნა, რასაც წარმატებით გამოიყენებს პრაქტიკაში. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი. შეუძლია სწორი არგუმენტების მოძიება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. მის მიერ შესრულებული სამუშაოები თანმიმდევრულადაა ჩამოყალიბებული. რეკომენდებულია მან იმუშაოს სემინარული მუშაობისას დაშვებული მცირე შეცდომების გამოსწორებასა და სისხლის სამართალში წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2024 წლის 3 დეკემბერს, მარიანა ფომაევასთან გაიმართა საჯარო მოსმენა. საჯარო მოსმენისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს არაერთი ზოგადი და კონკრეტული სამართლებრივი ხასიათის შეკითხვა.

საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ მარიანა ფომაევა კარგად ფლობს საქართველოს სამოქალაქო სამართლის როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო სამართლის თეორიულ საფუძვლებს, ეცნობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს. მას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.

საბოლოოდ, მიმაჩნია, რომ მარიანა ფომაევა კარგად იცნობს სამოქალაქო სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. კანდიდატმა დასმულ საკითხებზე დააფიქსირა თანმიმდევრული პასუხები.

<u>კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნართან და კომპეტენციასთან</u> დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ მარიანა ფომაევას აქვს ხანგრძლივი პროფესიული მუშაობის გამოცდილება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. ამასთან, იგი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, „მსმენელს შესწევს უნარი საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი მოტივები გასაგებად გადმოსცეს და შინაარსობრივად სწორად ჩამოაყალიბოს." ასევე, კანდიდატთან პირად თუ სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი რეკომენდატორების შეფასებით, კანდიდატს აქვს კარგი ანალიტიკური აზროვნების უნარი, სწორად ხედავს სამართლებრივ პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებს, შეუძლია სწორი ლოგიკური დასკვნების გამოტანა.

მიმაჩნია, რომ კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები არგუმენტირებული და დასაბუთებულია. საჯარო მოსმენის შედეგის გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ კანდიდატის მსჯელობა სამართლის პრაქტიკული და თეორიული საკითხების გარშემო თანმიმდევრულია.

<u>წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნართან</u> დაკავშირებით უნდა აღინიშნოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება, რომლის თანახმადაც, „მარიანა ფომაევა გასაგები ენით გადმოსცემს სამართლებრივ მსჯელობას და ზედმიწევნით სწორად აყალიბებს. გადაწყვეტილებების პროექტების წერისას საქმის გარემოებებს აფასებდა სწორად, გამართულად აყალიბებდა აზრს, თუმცა შეინიშნებოდა პუნქტუაციური და სტილისტური შეცდომები. მარიანა ფომაევა ამომწურავად გადმოსცემს აზრს და აქვს კომუნიკაციის უნარი. გადაწყვეტილებებზე მსჯელობისას საკუთარ აზრს გადმოსცემდა გასაგებად, მეტყველებდა გამართული ქართულით და ყურადღებას ამახვილებდა საქმის მასალების მნიშვნელოვან ასპექტებზე."

გამოკითხული რეკომენდატორები მიუთითებენ, რომ მარიანა ფომაევა გასაგებად და სწორად გამოხატავს თავის მოსაზრებებს ზეპირი კომუნიკაციის დროს. ამასთან, მას აქვს კარგი წერის უნარები, კერძოდ მისი საწერი გამოირჩევა სალიტერატურო ენითა და გრამატიკული გამართულობით. გამოკითხული რესპოდენტები კომპეტენტურობის კრიტერიუმის მითითებულ მახასიათებელში პოზიტიურად აფასებენ კანდიდატს.

მიმაჩნია, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის დამაჯერებლად, კვალიფიციურად და ლოგიკურად გადმოცემა, როგორც წერილობით, ისე ზეპირი კომუნიკაციისას. საჯარო მოსმენაზე კანდიდატი ლოგიკურად და არგუმენტირებულად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს. მას გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დაცვის უნარი.

<u>პროფესიული თვისებებთან</u> მიმართებით მარიანა ფომაევა ხასიათდება როგორც შრომისმოყვარე და გაწონასწორებული პიროვნება, რომელსაც გააჩნია პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა და სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი. ასევე აღსანიშნავია, რომ მარიანა ფომაევა გამოირჩევა გამართული მეტყველების უნარითა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის თვისებით. როგორც უკვე აღვნიშნე, კანდიდატმა საჯარო მოსმენაზე არგუმენტირებულად და დასაბუთებულად იმსჯელა სხვადასხვა საკითხზე.

<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნის მახასიათებელთან</u> დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ კანდიდატი მარიანა ფომაევა მუდმივად ღიაა სიახლეების მიმართ, იგი ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქტიურად მონაწილეობს პროფესიული წვრთნის პროგრამებში, შეძენილ ცოდნას და უნარებს იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

მარიანა ფომაევას ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა. იგი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული.

<u>პროფესიული აქტივობის</u> მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის დახასიათებისას გასათვალისწინებელია, რომ მარიანა ფომაევას აქვს თვითგანვითარების,ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. მიღებულ ცოდნას ის წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა.

კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სემინარსა და სამუშაო შეხვედრაში, მათ შორის, - 2023 წლის აპრილი, Trauma-Informed Interviewing - OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR); 2023 წლის იანვარი, რელიგიისა და რწმენის თავისუფლება - ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, ოსლოს უნივერსიტეტი; 2022 წლის დეკემბერი, გენდერული ზეგავლენის შეფასება (TOT) - ევროკავშირი საქართველოსთვის; 2020 წლის თებერვალი, კომუნიკაციის სტანდარტები - ევროკავშირი საქართველოსთვის, იუსტიციის უმაღლესი საბჭო და სხვა.

ამდენად, **კომპეტენტურობის კრიტერიუმის** თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე დადგინდა, რომ მარიანა ფომაევას მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს **89** ქულას.

შემფასებელი: **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**
თარიღი: 09.12.2024